სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

46706534780121

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210647658

რეგისტრაციის თარიღი

24.06.2021 წ

ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
ტელეფონი: 2 38 36 32 591 70 99 74

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაოთხ ივნისს მე, საქართველოს ნოტარიუსს ნინო მათუაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #10 მომმართა **შპს „ჰაშორიო"-ს** (ს/კ 405462397) დირექტორმა **ბესიკ მსხვილიძემ** (დაბ. 26.05.1976წ., პირადი #01024038129, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N 10 ბ. 1ა). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა **შოთა ფიფიას** (დაბადებული 04.11.1994წ., პირადი #62002003802) სახელზე და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მხარის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ბესიკ მსხვილიძემ** მომმართა. მე შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, მისი უფლებამოსილება **შპს „ჰაშორიო"-ს ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან,** რომლის მომზადების თარიღია 24.05.2021წ. მე დავადგინე მხარის ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მხარეს, განვუმარტე მისი შინაარსი და მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა და რომ ამ მინდობილობის **შოთა ფიფიას** სახელზე გაცემით ეს უკანასკნელი უფლებამოსილია განახორციელოს მინდობილობით მინიჭებული უფლებები. **ბესიკ მსხვილიძემ** პირადად წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა, მოიწონა ის და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე - **შპს „ჰაშორიო"-ს** (ს/კ 405462397) დირექტორი **ბესიკ მსხვილიძე** (დაბ. 26.05.1976წ., პირადი #01024038129, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N 10 ბ. 1ა) ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **შოთა ფიფიას** (დაბადებული 04.11.1994წ., პირადი #62002003802), რათა იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, არქიტექტურის, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის, საკადასტრო, ზედამხედველობის, მუნიციპალურ სამსახურებში, აწარმოოს საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები. მოახდინოს უძრავი ქონების ფართის დაზუსტება, რეკონსტრუქცია, ექსპლუატაციაში მიღება, ფოტომონტაჟის წარდგენა, ელექტრონული ვერსიით ჩაბარება, სარეგისტრაციო/ საიდენტიფიკაციო მონაცემებში ცვლილება/ კორექტირების შეტანა, დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, ხარვეზების გამოსწორება. შესაბამისად, შეათანხმოს/ წარადგინოს/ დაამტკიცოს პროექტები, ატვირთოს ელექტრონული დოკუმენტები, მიიღოს სამშენებლო ნებართვები, შეიტანოს კორექტირება პროექტში, დაამტკიცოს კორექტირებული პროექტები, მიმნდობის სახელით წარადგინოს განცხადებები, ნახაზები, ჩააბაროს და მიიღოს დოკუმენტები, ნებართვები და ხელი მოაწეროს მათ (უძრავი ქონების განკარვის/გასხვისების გარდა). ასევე შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება ამ დავალებასთან დაკავშირებით. მინდობილობა გაცემულია **ერთი წლის ვადით,** შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე. მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუსის არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი: **შპს „ჰაშორიო"-ს** ***ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომლის მომზადების თარიღია 24.05.2021წ.***

გადახდილია საზღაური 13,80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი: აქედან 10 (ათი) ლარი 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის თანახმად და 2 (ორი) ლარი იმავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური და 1,80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

შპს „ჰაშორიო"-ს დირექტორი ბესიკ მსხვილიძე _____

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი